მოქალაქის აღზრდა - ყველაზე მნიშვნელოვანი მოლოდინი

ნინო ჭიაბრიშვილი, ჯანა ჯავახიშვილი, თამარ გურჩიანი და გიორგი გახელაძე

"ზნე-ხასიათის წვრთნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა."

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში სამოქალაქო აღზრდას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. 2006 წლიდან ეროვნულის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულმა ამ შედარებით ახალმა საგანმა, უპირველესად მოსწავლეთა დაინტერესება და მოტივაციის ამაღლება გამოიწვია.

2011-2016 წლების განახლებულ ეროვნულ სასწავლო გეგმის პროექტში სამოქალაქო აღზრდის საგნობრივი პროგრამა უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი. სამოქალაქო აღზრდის, როგორც დისციპლინის მიზანია ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას. ამასთან, აღნიშნული საგნის სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაო კომპეტენციის ჩამოყალიბებისა და საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებისათვის.

ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდა

ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიის არსებობა დამოკიდებულია სწორედ მოქალაქეების უნარებზე, ცოდნაზე და განწყობებზე. სამოქალაქო აღზრდის სწავლების შედეგად მოსწავლეები იგებენ იმას, თუ რას ნიშნავს იყო მოქალაქე. ამასთან, მოქალაქე არა მხოლოდ უფლებებით არის აღჭურვილი, არამედ მას შესაბამისი ვალდებულებებიც და პასუხისმგებლობებიც აქვს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ ადამიანს საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი გაცნობიერებული არ აქვს, ის ვერ გამოიყენებს ვერც საკუთარ უფლებებსა და თავისუფლებებს და ვერც მიღებულ ცოდნას.

სამოქალაქო კომპეტენცია

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლების წყარო ხალხია. აღნიშნული პრინციპი დემოკრატიის ფუნდამენტს წარმოადგენს, თუმცა ადამიანები ვერ შეძლებენ საკუთარი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობას ან მის გაკონტროლებას სამოქალაქო კომპეტენციის გარეშე. ადამიანის მოქალაქედ ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ოჯახი, მედია, რელიგიური და სხვა ინსტიტუტები, თუმცა, ზოგადი განათლების სისტემას ყველაზე სერიოზული წვლილი შეაქვს მასში ისეთი ეფექტიანი ინსტრუმენტის მეშვეობით, როგორიც სამოქალაქო აღზრდაა.

სამოქალაქო კულტურა

სამოქალაქო აღზრდა ხელს უწყობს სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბებას. საქართველო მრავალფეროვანი (მრავალეროვნული, მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური) ქვეყანაა, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთო სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემა და ერთგულება. სამოქალაქო აღზრდა ხელს უწყობს ისეთი თავისუფალი და ღია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც:

- უზრუნველყოფილია დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებებისა და პრინციპების პატივისცემა;
- დაცულია ადამიანის უფლებები;
- გაცნობიერებული და დაცულია ადამიანის ღირსება და მნიშვნელობა;
- უზრუნველყოფილია კანონის უზენაესობა;
- საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა და დაცვა ყველა მოქალაქის ვალდებულებაა;
- გათვალისწინებულია არა მხოლოდ უმცირესობის ინტერესები, არამედ დაცულია უმცირესობათა უფლებებიც.

სამოქალაქო აღზრდის მიზანი სამი არსებითი კომპონენტის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: სამოქალაქო ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.[1]

[1] National Assessment of Educational Progress Achievement Levels 1992-1998 for Civics; July 2001; Edited by Susan Cooper Loomis Mary Lyn Bourque; National Assessment of Educational Progress, National Assessment Governing Boord; U.S. Deportment of Education // NAEP 2006 Civics Report Card.

ცოდნა იმ შინაარსს გულისხმობს, რაც მოქალაქეს ხუთი მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემაში დაეხმარება:

1. რა არის სამოქალაქო ცხოვრება, პოლიტიკა და სახელმწიფო?
2. რა არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საფუძველი?
3. როგორ ასახავს კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი ხელისუფლება დემოკრატიის მიზანს, ღირებულებებსა და პრინციპებს?
4. რა ურთიერთობა აქვს საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან?
5. რა როლს ასრულებენ მოქალაქეები ქვეყნის დემოკრატიაში?

უნარ-ჩვევები ძირითადად ორი სახისაა: *ინტელექტუალური* და *მონაწილეობის.* *ინტელექტუალური* უნარ-ჩვევები განუყოფელია ცოდნისგან. ნებისმიერი საკითხის კრიტიკული გააზრება-შეფასებისთვის თვით ამ საკითხის ცოდნა და მისი დღევანდელობასთან შესაბამისობის განხილვა არის საჭირო. ინტელექტუალური უნარ-ჩვევები მოიცავს:

- ამოცნობასა და აღწერას,
- ახსნასა და ანალიზს,
- შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებასა და პოზიციის დაცვას საზოგადოებრივ საკითხებზე.

მონაწილეობითი უნარ-ჩვევები დაყოფილია კატეგორიებად:

- ურთიერთობა/ურთიერთქმედება,
- კონტროლი და გავლენა.

ეს უნარ-ჩვევები აუცილებელია ადამიანებისთვის, რომ იყვნენ პოლიტიკური პროცესისა და სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებელი მონაწილეები.

მოქალაქეობრივი დამოკიდებულებები ასახავს პიროვნების ხასიათის თვისებებს, რომლებიც აუცილებელია საერთო სამოქალაქო კულტურის, ქვეყნის კონსტიტუციური დემოკრატიის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. მოქალაქეობრივი დამოკიდებულებები შეძენილი და ნასწავლია ისევე, როგორც კულტურასთან დაკავშირებული სხვა თვისებები. ეს დამოკიდებულებები ნელა ვითარდება, რადგან ბავშვი ვითარდება და სწავლობს ოჯახში, სკოლაში, სამეზობლოსა თუ საზოგადოების სხვა ნაწილებთან ურთიერთობისას მიღებული საკუთარი გამოცდილების საფუძველზე.

მოქალაქეობრივი დამოკიდებულებები ხუთ კატეგორიად ჯგუფდება:

1. საზოგადოების დამოუკიდებელ წევრად ჩამოყალიბება;
2. მოქალაქის პირადი, პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებების აღება;
3. პიროვნების ფასეულობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემა;
4. საზოგადოებრივ საქმეებში ინფორმირებულად, დაფიქრებითა და ეფექტიანად მონაწილეობა;
5. სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობა.[2]

სკოლის და მასწავლებლის მნიშვნელობა სამოქალაქო აღზრდაში

მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების (ზოგადი განათლების) მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას,[3] ნათქვამია „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“. მნიშვნელოვანია, რომ განათლების მუშაკებმა, პოლიტიკოსებმა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა მხარი დაუჭირონ სამოქალაქო აღზრდას საზოგადოების ყველა სეგმენტის, ინსტიტუტების ფართო სპექტრისა და ხელისუფლების საშუალებით.

‘მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო’ გვთავაზობს იმ ასპექტების ჩამონათვალს, რომელსაც სამოქალაქო განათლების (და არა მარტო) მასწავლებლის კომპეტენცია უნდა მოიცავდეს.[4] იმავე ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი სამოქალაქო განათლების მასწავლებლისთვის აუცილებელი 15 კომპეტენცია, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით.

---

[2] National Assessment of Educational Progress Achievement Levels 1992-1998 for Civics; July 2001; Edited by Susan Cooper Loomis Mary Lyn Bourque; National Assessment of Educational Progress, National Assessment Governing Boord; U.S. Deportment of Education // NAEP 2006 Civics Report Card.

[3] ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004.

[4] პ. ბრეტი, პ. მომპოინტ-გელარდი, მ. ე. სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანი უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად, ‘მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი’, 2009, გვ. 11-12.

სამოქალაქო აღზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი შრომა, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს სკოლის როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სასწავლო გეგმაში. მოსწავლეებს უნდა შევუქმნათ როგორც ხელმძღვანელობის, თვითმმართველობის, საზოგადოებრივი საქმიანობის, ისე საკუთარ გამოცდილებაზე რეფლექსიის რეგულარული შესაძლებლობები.[5]

სწავლების მიმართულებები და მათი ასახვა საგნობრივ ჭრილში

დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება სასკოლო კულტურის განუყოფელი კომპონენტია, რადგან წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და ურთიერთობების დამყარების საშუალებას.[6]

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ყოველი კლასის ან საფეხურის ბოლოს სასწავლო პროცესის შედეგები და მოსწავლის მიერ მათი მიღწევის ინდიკატორები. შედეგები დაჯგუფებულია მიმართულებების მიხედვით. ყოველი მიმართულება ასახავს საგნის ძირითად შინაარსს და ეფუძნება ერთ ან რამდენიმე დისციპლინას.

მიმართულებების ჩამოყალიბებას მარტივიდან რთულისკენ, კონკრეტულიდან ზოგადისკენ პრინციპი დაედო საფუძვლად. სამივე მიმართულება ერთადერთი საერთო მიზნის - მოქალაქის ფორმირებას ემსახურება და მათი მოცემული სახით წარმოდგენის არსი მიზნისკენ სავალი გზის - სწავლა/სწავლების გამარტივებაა. ეს მიმართულებები, რომლებიც იმავდროულად სამოქალაქო საზოგადოების საფუძველიც არის, ასე წარმოვადგინეთ: პიროვნული განვითარება, მდგრადი განვითარება, მმართველობა და თვითმმართველობა.

სწავლების შედეგად მოსწავლეს უნდა განუვითარდეს სამოქალაქო კომპეტენციის სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი: *<u>სამოქალაქო ცოდნა, სამოქალაქო უნარ-ჩვევები და სამოქალაქო დამოკიდებულებები</u>*.

სამოქალაქო აღზრდის სპეციალური და ინტერდისციპლინარული ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ "უფრო ეფექტურად ითვლება ფოკუსირებული მიდგომა, როცა სამოქალაქო განათლება სასწავლო გეგმაში ცალკეა გამოყოფილი",[7] ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით სამოქალაქო განათლება ინტეგრირებულად ისწავლება დაწყებით (1-4 კლასებში სხვა საგნებთან ინტეგრირებულად, ხოლო მე-5-6 კლასებში კვირაში 3 საათიანი სასწავლო კურსი "ჩვენი საქართველო"), მე-7-8 კლასებში სამოქალაქო განათლება ისწავლება ისტორიასთან ინტეგრირებით (საერთო დატვირთვა კვირაში 3 საათი), ხოლო ცალკე საგნად არის გამოყოფილი საბაზო საფეხურის მე-9 და საშუალო საფეხურის მე-10 კლასებში (შესაბამისად, კვირაში 2 და 3 საათიანი კურსი 'სამოქალაქო განათლება'). სამოქალაქო აღზრდის სავალდებულო სწავლებისას მოსწავლის მისაღწევი შედეგები დაყოფილია შემდეგი სამი მიმართულების მიხედვით:

პიროვნული განვითარება ინდივიდუალური თვითგანვითარებისა და სხვების განვითარების პროცესია. ინდივიდუალურ დონეზე პიროვნული განვითარება მოიცავს იმ მიზნებს, გეგმებსა და ქმედებებს, რომლებიც მიმართულია შემდეგი ამოცანის/ების შესრულებაზე:

- თვითანალიზის განვითარება
- თვითცოდნის განვითარება
- იდენტობის ძიება, მიგნება ან განახლება
- შესაძლებლობების ან ნიჭის განვითარება
- პოტენციალის განსაზღვრა და განვითარება
- ადამიანური კაპიტალის განვითარება
- ცხოვრების ხარისხის ამაღლება
- პიროვნული განვითარების გეგმის განსაზღვრა და შესრულება.

მდგრადი განვითარება ცვლილებათა პროცესია, რომელშიც ბუნებრივი რესურსების მოხმარება, ინვესტიციები, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება, პიროვნების განვითარება და ინსტიტუციური

---

[5] *Margaret Stimmann Branson,*The Role of Civic Education, 1998

[6] პ. ბრეტი, პ. მომპოინტ-გელარდი, მ. ე. სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანი უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად, 'მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი', 2009, გვ. 17.

[7] პ. ბრეტი, პ. მომპოინტ-გელარდი, მ. ე. სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანი უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად, 'მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი', 2009, გვ. 12.

ცვლილებები ურთიერთშეთანხმებულია და ამყარებს (განამტკიცებს არა?) ადამიანის მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად საჭირო აწმყო და სამომავლო პოტენციალს. გარკვეულწილად საუბარია ადამიანთა ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფაზე. უფრო ხშირად მდგრად განვითარებას განმარტავენ, როგორც 'განვითარებას, რომელიც აწმყოს მოთხოვნებს იმგვარად აკმაყოფილებს, რომ მომავალ თაობებს არ ართმევს მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას'.[8]

მმართველობა და თვითმმართველობა მართვის აქტივობაა. ის უკავშირდება იმ გადაწყვეტილებებს (ინდივიდუალურ, ოჯახის, თემის, ქვეყნის დონეზე), რომლებიც განსაზღვრავს მოლოდინებს, ძალაუფლების მინიჭებას ან საქმიანობის კონტროლს. ის მოიცავს დამოუკიდებელ, ან მართვისა და ლიდერობის პროცესების სპეციფიკურ ნაწილს.

იმავდროულად მე-10-12 კლასებში შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ხანგრძლივობისა და შინაარსის არჩევითი კურსების სწავლა, რაც მეტად პასუხობს საჭიროებებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების პრინციპს. მაგალითად: მოქალაქეობა, გამოყენებითი ეკონომიკა, სახელმწიფო, პრაქტიკული სამართალი, თვითმმართველობა, თვითგანვითარება და ა.შ. . ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იქნება არჩევითი კურსების სტანდარტებიც.

სამოქალაქო აღზრდის ხელშემწყობი ფორმები სკოლაში

წარმოგიდგენთ სამოქალაქო აღზრდის ორგანიზების რამდენიმე სანიმუშო ფორმას: საზოგადოებრივი სამსახური, მონაწილეობა სკოლის მართვაში, მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, მთავრობის ინიცირება და მოდელირება, ცნობილი ადამიანების ცხოვრების შესწავლა, ინტერვიუ აქტიურ ადამიანებთან, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს კვლევა, საჯარო გამოსვლები, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გამოხატვა, პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობა, პროექტები, სადამრიგებლო შეხვედრების საათი.

საბაზო სამოქალაქო კომპეტენციები

სწავლა-სწავლების კონტექსტში სიტყვა „კომპეტენცია" გულისხმობს ადამიანის დახელოვნებას გარკვეულ საკითხში, ერთდროულად საკითხის შესახებ (ა) ცოდნის შეძენას, მასთან (ბ) ურთიერთქმედების უნარ-ჩვევების ათვისებასა და (გ) მის მიმართ გარკვეული განწყობის/დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ამ სამი კომპონენტის ჭრილში საბაზო სამოქალაქო კომპეტენციები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: პოლიტიკური და იურიდიული კომპეტენცია, სოციალური და კულტურული კომპეტენცია, ეკონომიკური კომპეტენცია და მდგრადი განვითარების კომპეტენცია.

პოლიტიკური და სამართლებრივი კომპეტენცია:

ცოდნა: მოსწავლემ, ასაკის შესაბამისად, ცოდნის ნაბიჯ-ნაბიჯ ათვისების გზით, უნდა იცოდეს თუ რა არის პოლიტიკური სისტემა, კანონი, როგორი პოლიტიკური სისტემები არსებობს; უნდა გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობები და უფლებები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისა და კანონის უზენაესობის წინაშე; მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს საერთაშორისო სამართლის არსსა და მნიშვნელობას; უნდა იცნობდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჩარჩოებს, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებსა და საშუალებებს და ა.შ.

უნარ-ჩვევები: მოსწავლეს უნდა შეეძლოს საკუთარი და სხვისი (განსხვავებულის, უმცირესობის, განსაკუთრებულ საჭიროებათა მქონე ბავშვების და ა.შ.) უფლებების დაცვა; უნდა გაცნობიერებულად ემორჩილებოდეს კანონსა და შეძლებისდაგვარად, სასკოლო თემში ქცევის გაზიარებულ წესებს, უნდა შეეძლოს მონაწილეობა სასკოლო თემისა და კლასის ცხოვრებაში და ა.შ.

დამოკიდებულება: მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, როგორ ფასეულობები და ამის საფუძველზე ჰქონდეს მზაობა იმოქმედოს ადამიანის უფლებებზე ზრუნვით, კანონმორჩილად და ადამიანის უფლებების დასაცავად.

სოციალური და კულტურული კომპეტენცია:

[8] United Nations. 1987."Report of the World Commission on Environment and Development." General Assembly Resolution 42/187, 11 December 1987. Retrieved: 2007-04-12; Smith, Charles; Rees, Gareth (1998). *Economic Development, 2nd edition*. Basingstoke: Macmillan. ISBN 0333722280

ცოდნა: მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს თავს, როგორც საკუთარი ოჯახის, საზოგადოების, სასკოლო თემისა თუ კლასის, სამეზობლო თემის, რეფერენტული ჯგუფის (იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა თუ სტიტულო ნაცია და ა.შ.), ქართული საზოგადოების წევრად; იცნობდეს საკუთარი ქვეყნის, საზოგადოებისა და რეფერენტული თემის კულტურას; საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები სხვა საზოგადოებების კულტურას; ესმოდეს თუ რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა და რატომ არის ის ფასეული და ა.შ.

უნარ-ჩვევები: შეუძლია ზრუნვა, ურთიერთგაფრთხილებაზე დაფუძნებული ურთიერთობების წარმოება (დამყარება მირჩევნია), განსხვავებულთან ურთიერთობა, კონფლიქტის მოგვარება, ეფექტური კომუნიკაცია და ა.შ.

დამოკიდებულება: აქვს განსხვავებულისა და მრავალფეროვნების, როგორც ფასეულის ცნობიერება; აქვს ზრუნვის და გაფრთხილების დამოკიდებულება მის გარშემო მყოფი ადამიანების (ოჯახის წევრები, თანაკლასელები, მასწავლებლები და ა.შ.) მიმართ და ა.შ.

ეკონომიკური კომპეტენცია:

ცოდნა: მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურებრივად, უნდა გაეცნოს თავისი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად ასპექტებს: შრომისა და სამომხმარებლო ბაზარს, მინიმალურ ხელფასს და მსყიდველობითუნარიანობას და ა.შ.; შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ინფორმირებული მომხმარებლი უფლებებსა და მოვალეობებზე, პასუხისმგებლობითი და ეთიკური მოხმარების მნიშვნელობასა და პრინციპებზე; გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე და ა.შ.

უნარ-ჩვევები: მოსწავლეს უნდა განუვითარდეს რესურსების რაციონალურად ხარჯვისა და მოხმარების უნარ-ჩვევა, შრომისა და სოციალურ გარემოზე ზრუნვისა და დახმარების უნარ-ჩვევები, პრობლემათა ეფექტური გადაჭრის უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და გეგმაზომიერი მოქმედების უნარ-ჩვევები.

დამოკიდებულება:: ამ კომპეტენციის მიღმა მყოფი განწყობა უნდა ეფუძნებოდეს შრომის, სოციალური ურთიერთზრუნვისა და ურთიერთპასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის ფასეულობებს. მოსწავლეს უნდა განუვთარდეს სოციალურად გაჭირვებულ გარშემომყოფთა დახმარების ქცევის მზაობა; რესურსების რაციონალური ხარჯვისა და ეთიკურად მოხმარების ქცევის მზაობა; პრობლემათა აქტიურად და ეფექტურად გადაჭრის ქცევის მზაობა და ა.შ.

მდგრადი განვითარების კომპეტენცია:

ცოდნა: მოსწავლემ უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურეობრივად შეითვისოს ცოდნა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი; უნდა გაისიგრძეგანოს საკუთარი ქვეყნის მდგომარეობის კავშირი რეგიონის მდგომარეობასთან; რეგიონის კავშირი ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან; უნდა გააცნობიეროს ყველა ამ პროცესის ურთიერთგადაჯაჭვულობა და განმაპირობებლობა; უნდა გააცნობიეროს კაცობრიობის, როგორც მსოფლიოს ერთიანი საზოგადოების წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევები.

უნარ-ჩვევები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი უნარ-ჩვევები, გარემოს დაცვის შესაბამისი უნარ-ჩვევები, ცვლილებათა დაგეგმარებისა და მართვის უნარ-ჩვევები და ა.შ.

დამოკიდებულება:: ამ კომპეტენციის შესაბამისი განწყობები უნდა ეფუძნებოდეს საკუთარი სამშობლოს, რეგიონის, ევროპისა და საერთოდ მსოფლიოს – როგორც ფასეული, ურთიერთდამოკიდებული ერთეულების გაცნობიერებას. მდგრადი განვითარების – როგორც სამშობლოსა და დანარჩენ მსოფლიოზე ზრუნვის სამუშაო იარაღის გააზრებას. მოსწავლეში უნდა აღვზარდოთ გარემოს დაცვის, ცხოვრების ჯანსაღი სტილის შესაბამისი ქცევების განწყობა; მდგრადი განვითარების გლობალურ პროცესებში საკუთარი წვლილის შეტანის ქცევის მზაობა და ა.შ.

კომპეტენციების განვითარების მიმართება ბავშვის ასაკობრივ განვითარებასთან

გამომდინარე კომპეტენციების რთული შედგენილი ბუნებიდან, მათი განვითარება სკოლაში სწავლის პერიოდში ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება, მოსწავლის ფსიქო-ფიზიკური განვითარების შესაბამისად.

სასკოლო გარემოში სამოქალაქო კომპეტენციების განვითარების ამოცანის მისაღწევად სამოქალაქო განათლების სტანდარტში წარმოდგენილია სწავლების ყოველი მიმართულების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევათა და განწყობების ზუსტი დახასიათება და

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საფეხურების მიხედვით არის შეთავაზებული ყოველი მიმართულების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და განწყობების სირთულე და „ულუფები“.

სამოქალაქო აღზრდის სასკოლო სასწავლო გეგმა სისტემური უნდა იყოს პირველი კლასიდან დაწყებული საშუალო სკოლის დამთავრებამდე, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებელ კურსად არის ის წარმოდგენილი თუ ინტეგრირებულად. სასკოლო გარემოში სამოქალაქო კომპეტენციების განვითარების ამოცანა მოითხოვს თითოეული მიმართულებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევათა და განწყობების გაშლილი, თვალსაჩინო დახასიათება მოვახდინოთ. თანაც, ასაკის შესაბამისად, ვარეგულიროთ ამ მიმართულებების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და განწყობების სირთულე თუ ინფორმაციის მოცულობა. ასეთი მიდგომის ნიმუში წარმოდგენილია ზოგადი სქემის სახით:

სამოქალაქო აღზრდის განვითარების სანიმუშო სქემა

კლასი	ძირითადი საკითხები	მიმართულება	ინტეგრაცია სასწავლო საგნებთან
1	მეგობრობა, სიყვარული, ზრუნვა, სიკეთე, ბოროტება, კარგი და ცუდი საქციელი, სილამაზე; ოჯახი, კლასი, სკოლა	პიროვნული განვითარება	მშობლიური ენა და ლიტერატურა; ხელოვნება და შრომა; მუსიკა;
	ბუნებაზე ზრუნვა, მისი დაცვა; მომჭირნეობა, როგორც ბუნებაზე ზრუნვა; სისუფთავე, სწორი კვება; სწორად შრომა, ჰიგიენა	მდგრადი განვითარება	ბუნებისმეტყველება; ფიზიკური აღზრდა
	სუსტზე ზრუნვა და მისი დაცვა; მე და ჩვენ; თანამშრომლობა	მმართველობა და თვითმმართველობა	მშობლიური ენა და ლიტერატურა
2	ადამიანი ერთადერთი და მსგავსი; ადამიანის ინტერესები, მიზნები, ქცევა, საქმიანობა; კეთილი და ბოროტი ადამიანში; თანასწორნი და განსხვავებულნი	პიროვნული განვითარება	მშობლიური ენა და ლიტერატურა; პირველი უცხოური ენა; ხელოვნება და შრომა; მუსიკა;
	სახლზე, ეზოზე, კლასზე, სკოლაზე ზრუნვა; ადამიანი და ბუნება; საკუთარი და სხვების ჯანმრთელობა; სწავლა და ფიზიკური ვარჯიში; დღის რეჟიმი	მდგრადი განვითარება	ბუნებისმეტყველება; ფიზიკური აღზრდა
	ჩხუბი და შერიგება; ლიდერობა; თამაშის წესები; მეგობრობის წესები; უფლებები, მოვალეობები;	მმართველობა და თვითმმართველობა	მშობლიური ენა და ლიტერატურა
3-4	ადამიანის სხვადასხვა როლები; როლები და პასუხისმგებლობები; სხვებზე ზრუნვის სიკეთე; სილამაზის მრავალსახეობა; მავნე და სასარგებლო ჩვევები; თანაფარდობა - რა მჭირდება და რა მაქვს	პიროვნული განვითარება	მშობლიური ენა და ლიტერატურა; ქართული როგორც მეორე ენა* პირველი უცხოური ენა; ხელოვნება და შრომა; მუსიკა;
	მოკლე გზით სიარული - რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება; რესურსების დაზოგვა; ჯანსაღი სხეული - ჯანსაღი სული; სხვებზე ზრუნვა; ბუნება = საერთო სახლს; განსხვავებულობის სიკეთე; განსხვავებულობა = მრავალფეროვნება.	მდგრადი განვითარება	მათემატიკა; ბუნებისმეტყველება; ფიზიკური აღზრდა
	უფლებები და ვალდებულებები; ჩემი და სხვისი ინტერესები; ლიდერობა, როგორც ტვირთი; თანამშრომლობის სიკეთე; კონფლიქტი და თანამშრომლობა	მმართველობა და თვითმმართველობა	მშობლიური ენა და ლიტერატურა ქართული როგორც მეორე ენა*
	საერთო გარემოს, წარსულის, აწმყოსა და მომავლის მქონე ქვეყნის მოქალაქეობა; ადამიანი და მისი გარემომცველი სამყარო; სამშობლოს	პიროვნული განვითარება	

5-6	განცდის საფუძვლები		საგანი - ჩვენი საქართველო
	საკუთარი ქვეყნის თავისებურებები; ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, ისტორიული მრავალფეროვნება; ბუნებრივი რესურსები და ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობა	მდგრადი განვითარება	
	გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელობა სხვადასხვა დროსა და სივრცეში; ერი და სახელმწიფო; სახელმწიფოს ნიშნები	მმართველობა და თვითმმართველობა	
7	მსგავსნი და განსხვავებულნი; 'მე'-ს დამკვიდრების გზები; თანაზიარობა და კონფლიქტი; ისტორიული ფესვების მნიშვნელობა პიროვნულ განვითარებაში	პიროვნული განვითარება	საგნობრივი ჯგუფი - საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები
	საკუთარი ქვეყნის ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული თავისებურებები; მომავლის პერსპექტივები და პიროვნების როლი	მდგრადი განვითარება	
	ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სახელმწიფო მოწყობის თავისებურებები; ინდივიდების პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები და მოვალეობები	მმართველობა და თვითმმართველობა	
8	მშვიდობა ადამიანში და მის გარეთ; გონივრული გადაწყვეტილების მიღების 5-საფეხურიანი მოდელი;	პიროვნული განვითარება	
	ინდივიდის როლი ოჯახის, ქვეყნის და სამყაროს მასშტაბით; სამყაროს სუბიექტ-ობიექტების ურთიერთდამოკიდებულებათა რთული ჯაჭვის მთლიანობის არსი და მისი დაცვის მნიშვნელობა	მდგრადი განვითარება	
	'მე'-ს გადაწყვეტილებები და გარშემომყოფთა ინტერესები; კანონები, როგორც თანაცხოვრების ხელშემწყობი ინსტრუმენტები; კანონმორჩილების მნიშვნელობა	მმართველობა და თვითმმართველობა	
9	საკუთარი და სხვების იდენტობა; გონივრული გადაწყვეტილებების მიღება; დამოუკიდებლობა	პიროვნული განვითარება	სამოქალაქო აღზრდა
	პროფესიონალიზმი, როგორც ფასეულობა და მისი როლი მდგრად განვითარებაში; პროფესია და იდენტობა; ინფორმირებულობა;	მდგრადი განვითარება	
	შემწყნარებლობა; მშვიდობიანი თანაარსებობა; თვითმმართველობა; მოქალაქეობრივი ჩართულობა; უფლებები და მოვალეობები;	მმართველობა და თვითმმართველობა	
10	იდენტობის ცალკეული ასპექტები; პიროვნება და მოქალაქე;	პიროვნული განვითარება	სამოქალაქო აღზრდა
	შეზღუდულობა და არჩევანი; ჭარბმოხმარების ზიანი; წარმოება (შექმნა) და მოხმარება; საერთო სახლზე ზრუნვა	მდგრადი განვითარება	
	მოქალაქეობრივი იდენტობა; სამართლიანობა და თანასწორობა; მორალური კანონი ადამიანში და კანონმდებლობა მის გარეთ	მმართველობა და თვითმმართველობა	
11	მოქალაქეობრივი იდენტობა; მოქალაქეობრივი ფუნქციების	პიროვნული განვითარება	

	მრავალგვარობა და სირთულე;		
	ადამიანის-ოჯახის-ქვეყნის ეკონომიკა და გარემო; მსოფლიო ეკონომიკა	მდგრადი განვითარება	
	ადამიანი და სახელმწიფო; კანონმდებლობის ცალკეული ასპექტების ანალიზი	მმართველობა და თვითმმართველობა	არჩევითი საგნები: მოქალაქეობა, გამოყენებითი ეკონომიკა, სახელმწიფო, გამოყენებითი სამართალი.
12	პიროვნება და მოქალაქე; მოქალაქის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში;	პიროვნული განვითარება	
	ეკონომიკა, როგორც სამყაროს მოვლის მეცნიერება; ჯაჭვი: ადამიანი და სამყარო	მდგრადი განვითარება	
	სახელმწიფოს როლი და ადგილი მოქალაქის ცხოვრებაში; სახელმწიფო, სამართალი, მოქალაქე - ურთიერთგანპირობებულობა	მმართველობა და თვითმმართველობა	

***არაქართულენოვანი სკოლებისთვის**